



საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE
BODY



მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი N8

ქ. მარნეული

16.05.2017 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს წევრები: - ნაბი აბდულაევი, ვალერი მეტრეველი, ვანო ბურნაძე, კოტე ბოჭორძე, ირაკლი ბურნაძე, გიგანი, ნიკოლოზ გოგოჭური, რაფიკ მუსაევი, გიორგი შუკაკიძე, ვალი ისმაილოვი, აბიდ ოსმანოვი, რამიზ გიულმამედოვი, ლევონ აკოპიანი, რაგიმ ასკეროვი, რუსტამ ფაშაევი, აიდა ხაჩიკიანი, არსენ ახვერდიანი, ქამილ ალიევი, ზურაბ ჭონიაშვილი, ისმაილ ბაირამოვი, სულეიმან ხალილოვი, მამედ მამედოვი, ელხან მუფტიევი, რაფიკ ჯაფაროვი, გივი ქველაძე, ბესიკ გუჯეჯიანი, სადრადინ ტალიბოვი, აგილ ფაშაევი.

არ ესწრებოდა:

- ამირან გიორგაძე, რიჩარდ, ლერი მუმლაძე, ჯომგუნ ზეინალოვი, მაილ მიქიევი, მახირ იუსუბოვი.

სხდომას ესწრებოდა

- მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელი მერაბ თოფჩიშვილი, გამგებლის პირველი მოადგილე ზაურ ტაბატაძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი ნინო ბერიძე, საორგანიზაციო განყოფილების უფროსი რუსუდან გადელია,

პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლები: „TV-მარნეული“-ს წარმომადგენლები.

განსახილველი საკითხების დღის წესრიგი:

1. ა.ა.ი.პ. „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ს კორექტირებული ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ.
2. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 15 მაისის N03/5357 წერილის განხილვის შესახებ.
3. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 12 აპრილის N03/3862 წერილის განხილვის შესახებ.
4. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 21 აპრილის N03/4162 წერილის განხილვის შესახებ.
5. სოფელ თაზაკენდში მცხოვრებ მოქალაქეთა კოლექტიური განცხადება.

6. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 21 აპრილის N03/4163 წერილის განხილვის შესახებ.

7. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის 2017 წლის 18 აპრილის N1694-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.

განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები:

1. დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ საკრებულოს წევრებს, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 18 აპრილის N03/4002 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს საფუძველზე დასამტკიცებლად წარუდგინა ა.ა.ი.პ. „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ს 2017 წლის კორექტირებული ხარჯთაღრიცხვა ხარჯთაღრიცხვა.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N41. 16.05.2017 წ).

2. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ საკრებულოს წევრებს, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 15 მაისის N03/5357 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს საფუძველზე დასამტკიცებლად წარუდგინა ა.ა.ი.პ. მარნეულის მუნიციპალიტეტის „კულტურის ცენტრი“-ს 2017 წლის კორექტირებული ხარჯთაღრიცხვა და სამტატო განრიგი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N43. 16.05.2017 წ).

3. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ საკრებულოს წევრებს, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 12 აპრილის N03/3862 წერილით შემოსული დოკუმენტაციის გათვალისწინებით, ითხოვა მხარდაჭერა, რათა მიეცეს თანხმობა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელს, გააფორმოს თანამშრომლობის ხელშეკრულება მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნულ ასოციაციას შორის.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N44. 16.05.2017 წ).

4. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 21 აპრილის N03/4162 წერილით წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მარნეულის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახურის დებულებაში შესატანი ცვლილების შესახებ.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია დადგენილება N19. 21.04.2017 წ).

5. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის ალგეთის ტერიტორიული ერთეულის სოფელ თაზაკენდის მოსახლეობის კოლექტიური განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია, მათ შორის თაზაკენდის N1 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი სკოლისათვის მეორე მსოფლიო ომის მონაწილის ამრახ ასლანოვის სახელის მინიჭების შესახებ. „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის N194 ბრძანებით დამტკიცებულია საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესი, რომლის თანახმადაც საჭიროა შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს თანხმობა და შემოვიდა წინადადებით კენჭისყრაზე დამდგარიყო აღნიშნული საკითხი. სოფელ თაზაკენდის N1 საჯარო სკოლისათვის მეორე მსოფლიო ომის მონაწილის ამრახ ასლანოვის სახელის მინიჭების საკითხს მხარი დაუჭირა საკრებულოს ყველა წევრმა და მიღებული იქნა თანხმობა მარნეულის მუნიციპალიტეტის თაზაკენდის სკოლისათვის ამრახ ასლანოვის სახელის მინიჭების შესახებ

6. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეექვსე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 21 აპრილის N03/4163 წერილით წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 3 თებერვალის N2/3 დადგენილებაში შესატანი ცვლილების შესახებ.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია დადგენილება N18. 16.05.2017 წ)

7. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ საკრებულოს წევრებს, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის 2017 წლის 18 აპრილის N1694/03 წერილით შემოსული დოკუმენტაცია და ითხოვა მხარდაჭერა, რათა მიეცეს თანხმობა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელს პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადასცეს სოფელ თამარისში მცხოვრებ მოქალაქეებს: დავით ბერდელიძეს, დიმიტრი აბრამიშვილს, კობა თურმანიძეს და ბესიკ გუჯეჯიანს ქალაქ მარნეულში, აღმაშენებლის ქუჩაზე მდებარე 40 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N83.02.05.966) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N42. 16.05.2017 წ).

საკრებულოს თავმჯდომარემ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის მერვე სხდომა გამოაცხადა დახურულად.

მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე:

ნაზი აბდულაევი